2015 წლის საერთაშორისო ანგარიში რელიგიის თავისუფლების შესახებ
საქართველო

კონსტიტუცია ითვალისწინებს „რელიგიის სრულ თავისუფლებას“, ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნას და ყველას თანასწორობას აღმსარებლობის მიუხედავად. იგი აგრეთვე კრძალავს დევნას რელიგიის საფუძველზე. კანონი და პოლიტიკა უპირატესობას ანიჭებს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, ანიჭებს მას ისეთ პრივილეგიებს, რომლითაც არცერთი სხვა რელიგიური ჯგუფი არ სარგებლობს. რელიგიური ორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები აკრიტიკებდნენ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს (აგრეთვე უწოდებენ რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტოს), რომელიც რელიგიის საკითხებში სახელმწიფო პოლიტიკას ატარებს და ფუნქციონირებს როგორც რელიგიურ საკითხებზე საკონსულტაციო ორგანო. ადამიანის უფლებების ნორვეგიულმა ცენტრმა დაასახელა სააგენტოს ბუნდოვანი მანდატი და გამჭვირვალობის ნაკლებობა ოთხი რელიგიური ჯგუფისთვის ქონების გადაცემისა და ფინანსური კომპენსაციისას საბჭოთა ეპოქაში მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად და შეაფასა, რომ სააგენტოს მისია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ფინანსური და მატერიალური ინტერესების ხელშეწყობის შთაბეჭდილებას ტოვებდა. სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა კრიტიკა გამოთქვეს სააგენტოს რელიგური პოლიტიკის სტრატეგიის პროექტის მიმართ ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების მეშვეობით მეზობელი ქვეყნების შიდა ჩარევის აღკვეთაზე მისი ორიენტაციის გამო. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები დროდადრო არ გასცემდნენ რელიგიურ დენომინაციებზე ნებართვებს ღვთისმსახურების ახალი ადგილების ასაგებად და მთავრობამ არ დაუბრუნა რელიგიური უმცირესობის ჯგუფებს მათ მიერ მოთხოვნილი სამთავრობო ორგანოების განკარგულებაში არსებული გარკვეული ქონება. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში, რომლებიც ცენტრალური მთავრობის კონტროლის მიღმა რჩებოდნენ, რელიგიური საქმიანობის შეზღუდვა განსაკუთრებით შეეხოთ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და იეჰოვას მოწმეებს.

იეჰოვას მოწმეებმა განაცხადეს მათ წინააღმდეგ რელიგიური დისკრიმინაციის 51 შემთხვევის შესახებ, რაც წინა წელთან შედარებით ნაკლებია, საკუთრების დაზიანებისა და ვანდალიზმის, მუქარისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის, რელიგიური მსახურების ჩატარებისას ხელშეშლის ფაქტების ჩათვლით. მუსლიმები კვლავ აცხადებდნენ, რომ მათ წინააღმდეგ საზოგადოებრივმა დისკრიმინაციამ, აგრეთვე მთავრობის უმოქმედობამ დაბრკოლება შეუქმნა

ქობულეთში კერძო სკოლა-პანსიონის გახსნის მცდელობას. რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები აცხადებდნენ ფართოდ გავრცელებული მოსაზრების შესახებ, რომ რელიგიური უმცირესობების ჯგუფები საფრთხეს უქმნიან საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და ქვეყნის კულტურულ ღირებულებებს. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ზოგიერთ სასულიერო პირს წვლილი შეჰქონდა საზოგადოების მტრულ დამოკიდებულებაში რელიგიური უმცირესობის თემების მიმართ. მედია მონიტორინგის ჯგუფმა მედიის განვითარების ფონდმა ეროვნულ მედიაში აღრიცხა რელიგიის საფუძველზე დისკრიმინაციული განცხადების სულ მცირე 77 შემთხვევა.

აშშ-ის ელჩი და საელჩოს ოფიციალური პირები რეგულარულად ხვდებოდნენ მთავრობის მაღალი რანგის ოფიციალურ პირებს, მათ შორის რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელებს, პრემიერ-მინისტრის მრჩეველს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში და პრეზიდენტის მრჩეველს უმცრესობების საკითხებში, მთავრობასა და რელიგიური უმცირესოებების ჯგუფებს შორის დიალოგის ხელშეწყობის მიზნით, რომელიც საზოგადოებრივ შემწყნარებლობას გაუსვამს ხაზს, და აგრეთვე მოგზაურობდნენ ქვეყნის მასშტაბით რელიგიური უმცირესობების თემებთან შესახვედრად. თებერვალში რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ რელიგური პოლიტიკის სტრატეგიის პროექტის პრეზენტაციაზე და აპრილში ბათუმში გამართულ მშვიდობისა და რელიგიის საერთაშორისო ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას ელჩმა მოუწოდა მთავრობას რელიგიური თავისუფლებისა და შემწყნარებლობის ხელშეწყობისკენ და გაუთვალისწინებელი დაყოფების შექმნისგან თავის არიდებისკენ. აპრილში საელჩომ ორგანიზება გაუკეთა საქართველოში რელიგიათაშორისი საკითხების ექსპერტის სტუმრობას ამერიკიდან. ელექტრონული და ბეჭდვითი მედიით გამოსვლისას, სტუდენტებთან და ახალგაზრდა მუსლიმებთან საუბრისას და რელიგიურ ჯგუფებთან შეხვედრების დროს, მათ შორის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებთან, გამომსვლელი ყურადღებას ამახვილებდა რელიგიათაშორის დიალოგის მნიშვნელობაზე.

I ნაწილი. რელიგიური დემოგრაფია

აშშ-ის მთავრობის შეფასებით, მთელი მოსახლეობა შეადგენს 4,9 მილიონს (2015 წლის ივლისის მონაცემებით). 2002 წლის მოსახლეობის აღწერის თანახმად, ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანები შეადგენენ მოსახლეობის 84 პროცენტს, მათ მოსდევენ მუსლიმები 10 პროცენტით და სომეხთა სამოციქულო ეკლესიის წევრები 4 პროცენტით.

არსებობს მნიშვნელოვანი კორელაცია ეთნიკურობას, რელიგიურ კუთვნილებასა და საცხოვრებელ რეგიონს შორის. ეთნიკური ქართველების უმრავლესობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წევრია. მცირე რაოდენობით, უმეტესად ეთნიკურად რუსები რამდენიმე მართლმადიდებელი ჯგუფის წევრები არიან, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, მათ შორის არიან მალაკნები, სტაროვერები (ძველი მორწმუნეები) და დუხობორები (სულიერი მებრძოლები). ეთნიკური აზერბაიჯანელები, რომლებიც უპირატესად შიიტი მუსლიმები არიან, მოსახლეობის უმრავლესობას ქმნიან ქვემო ქართლში, სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში. სხვა მუსლიმ ჯგუფებს შეადგენენ ეთნიკური ქართველი მუსლიმები აჭარაში და ქისტები ჩრდილო-აღმოსავლეთში, რომლებიც უპირატესად სუნიტები არიან. ბევრი მიგრანტი, რომელიც სამხრეთ რეგიონში სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობს, ეთნიკური ქართველი სუნიტი მუსლიმია, წარმოშობით აჭარიდან. ეთნიკური სომხები ძირითადად სომეხთა სამოციქულო ეკლესიას ეკუთვნიან და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ.

აღწერის თანახმად, კათოლიკეები, ქურთი იეზიდები, ბერძენი მართლმადიდებლები, ებრაელები და რაოდნებორივად მზარდი „არატრადიციული“ რელიგიური ჯგუფები - ბაპტისტები, იეჰოვას მოწმეები, ორმოცდაათიანელები და კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოების (ჰარე კრიშნა) წევრები, აგრეთვე ის ადამიანები, ვინც არც ერთ რელიგიას არ ანიჭებს უპირატესობას, მოსახლეობის დარჩენილ 2 პროცენტს წარმოადგენენ.

II ნაწილი. მთავრობის მიერ რელიგიის თავისუფლების პატივისცემა

კონსტიტუცია ითვალისწინებს „რელიგიის სრულ თავისუფლებას“ და აღმსარებლობის მიუხედავად ყველა ადამიანის თანასწორობას. კონსტიტუცია კრძალავს რელიგიის საფუძველზე დევნას და რელიგიის შესახებ აზრის გამოსახატად ვინმეს დაძალებას. კონსტიტუცია აგრეთვე კრძალავს ისეთ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებებს, რომლებიც აღვივებენ რელიგიურ შუღლს. კანონი უზრუნველყოფს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებას, რელიგიური კუთვნილების არჩევისა და შეცვლის უფლების ჩათვლით.

თუმცა კონსტიტუცია აღიარებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს ქვეყნის ისტორიაში, იგი განსაზღვრავს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობას და ადგენს, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და მთავრობას შორის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით (კონკორდატი).მთავრობასა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას

შორის კონკორდატი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას უნიკალურ სტატუსს ანიჭებს; მთავრობას არ აქვს კონკორდატი რომელიმე სხვა რელიგიურ ჯგუფთან. კონკორდატი ანიჭებს ისეთ უფლებებს, რომელიც სხვა რელიგიურ ჯგუფებს არ აქვთ, მათ შორის სამართლებრივი იმუნიტეტი პატრიარქისათვის, სამხედრო მოძღვრებად დანიშვნის განსაკუთრებული უფლება, ეკლესიის მღვდელმსახურების სამხედრო სამსახურისგან განთავისუფლება და საკონსულტაციო როლი მთავრობაში, განსაკუთრებით განათლების სფეროში. კონკორდატის ზოგიერთ დებულებას, მათ შორის დებულებას განათლებაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკონსულტაციო როლის შესახებ, სჭირდება შესაბამისი კანონის ამოქმედება, რომელიც პარლამენტს ჯერ არ მიუღია.

რელიგიურ ჯგუფებს რეგისტრაციის გავლა საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) ან არაკომერციული იურიდიული პირის სტატუსით შეუძლიათ მთავრობის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. ორივე სტატუსი არსებითად მსგავს შეღავათებს გულისხმობს, მათ შორის საქმიანობის დროს სამართლებრივი აღიარება, ნაწილობრივი საგადასახადო შეღავათები, საკუთრების ფლობისა და საბანკო ანგარიშის გახსნის უფლება. არარეგისტრირებულ რელიგიურ ჯგუფებს შეუძლიათ რელიგიური საქმიანობა, მაგრამ არ იღებენ რეგისტრირებული ჯგუფებისთვის მინიჭებულ სამართლებრივ სტატუსს ან შეღავათებს.

სსიპ-ის სტატუსით დასარეგისტრირებლად ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს ქვეყანასთან ისტორიული კავშირები ან ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების აღიარება რელიგიურ ორგანიზაციად, თუმცა კანონი არ უთითებს, თუ ვინ განსაზღვრავს, რას წარმოადგენს „ისტორიული კავშირები.“ ორგანიზაციამ, რომელიც რეგისტრირდება სსიპ-ის სტატუსის მისაღებად საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში აგრეთვე უნდა წარადგინოს თავისი მიზნებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი, მმართველი ორგანოს წევრების და დამფუძნებლების სია. სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს სსიპ-ის სტატუსით დარეგისტრებული დენომინაციების საქმიანობასა და უფლებებს. არაკომერციულ ორგანიზაცებად რეგისტრაციის მსურველ ჯგუფებს არ ევლაებათ ქვეყანასთან ისტორიული კავშირის წარმოდგენა ან ევროპის საბჭოს წევრების მიერ აღიარება, თუმცა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში სავალდებულოა ანალოგიური ინფორმაციის წარდგენა მათ მიზნებზე, პროცედურებზე, აგრეთვე მმართველი ორგანოს წევრებისა და დამფუძნებლების მითითება.

საგადასახადო კოდექსი რელიგიურ საქმიანობას არ განიხილავს ეკონომიკურ საქმიანობად და რელიგიური ჯგუფებისთვის უშვებს ნაწილობრივ საგადასახადო შეღავათებს შემოწირულობაზე. საქართელოს მართლმადიდებელი ეკლესიისგან

განსხვავებით, სხვა რელიგიური ჯგუფები იხდიან რელიგიური დანიშნულების პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული მოგების გადასახადს, დამატებითი ღირებულების გადასახადს რელიგიური დანიშნულების პროდუქციის მიწოდებასა ან ქვეყანაში შემოტანაზე და გადასახადებს ყველა იმ საქმიანობის შედეგად, რომელიც უკავშირდება რელიგიური დანიშნულების შენობების აგებას, აღდგენასა და მოხატვას.

ქონებრივი სამართლის მიხედვით, სსიპ-ად დარეგისტრირებულ არცერთ რელიგიურ ორგანიზაციას, გარდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა, არ შეუძლია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით შეძენა. არაკომერციულ ორგანიზაციად დარეგისტრირებულ დენომინაციას აქვს სახელმწიფო ქონების შეძენის უფლება. კანონი აგრეთვე საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ანიჭებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის მიღების უფლებას საფასურის გარეშე, ხოლო სხვა რელიგიურმა ჯგუფებმა საფასური უნდა გადაიხადონ.

სისხლის სამართლის კოდექსი კრძალავს ღვთისმსახურებაში ხელშეშლას, პიროვნების დევნას რწმენის ან რელიგიის საფუძველზე და რელიგიური ორგანიზაციის დაფუძნებაში ხელშეშლას. დარღვევები ისჯება ჯარიმებით, თავისუფლების აღკვეთით ან ორივეთი ერთად; დარღვევა, რომელიც ჩაიდინა საჯარო მოსამსახურემ ან მოხელემ, განიხილება ძალაუფლების ბოროტად გამოყენებად და ისჯება უფრო დიდი ჯარიმით ან უფრო გძელვადიანი თავისუფლების აღკვეთით, თუ ჩადენილია ძალის ან იარაღის გამოყენებით, ან მსხვერპლის ღირსების შელახვით. რელიგიური ნიშნით დევნის შემთხვევაში, პირს სამ წლამდე ვადით შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, რაც დამოკიდებულია ძალადობის ან მუქარის გამოყენებაზე, მის სამსახურეობრივ მდგომარეობასა და მიყენებული ზიანის სიმძიმეზე. რელიგიური მსახურების აღსრულების უფლების უკანონო დარღვევის შემთხვევაში ძალადობის ან მუქარის გამოყენებით, დამნაშავეს ორ წლამდე ვადით შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კანონდამრღვევს უკავია საპასუხისმგებლო თანამდებობა - ხუთ წლამდე ვადით. რელიგიური ორგანიზაციის დაფუძნებაში ხელშეშლა ისჯება ჯარიმით, ერთ წლამდე ვადით გამოსასწორებელი სამუშაოთი ან ორი წლით თავისუფლების აღკვეთით.

კანონის თანახმად, მთავარი პროკურატურა იძიებს რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებულ ადამიანის უფლებების დარღვევებს. მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო მეთვალყურეობას უწევს რელიგიური თავისუფლების დაცვას. სახალხო დამცველი მუშაობს როგორც

ადამიანის უფლებათა ომბუდსმენი და მეთვალყურეობას უწევს საჩივრებს რელიგიური თავისუფლების შეზღუდვაზე.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ხელს უწყობს სსიპ-ებად რეგისტრირებული ისლამური, ებრაული, რომის კათოლიკური ეკლესიის და სომეხთა სამოციქულო ეკლესიის რელიგიური ორგანიზაციებისთვის კომპენსაციას იმ „მატერიალური და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, რომელიც მათ მიადგათ საბჭოთა პერიოდში.“ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს განცხადებით, მისი მანდატი გულისხმობს თანასწორობასა და შემწყნარებლობაზე დაფუძნებული მშვიდობიანი თანაცხოვრების ხელშეწყობასა და უზრუნველყოფას. თებერვალში გამოქვეყნებულ რელიგიური პოლიტიკის სტრატეგიის პროექტში რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო აღნიშნავდა მის ძირითად პასუხისმგებლობის სფეროებს: მოიკვლიოს და მთავრობას წარუდგინოს რელიგიის სფეროში არსებულ მდგომარეობა; მთავრობისთვის წარსადგენად მოამზადოს რეკომენდაციები და სამართლებრივი აქტების პროექტები; მთავრობის სახელით, შეასრულოს საკონსულტაციო ორგანოსა და შუამავლის ფუნქცია და მონაწილეობა მიიღოს იმ დავებისა და საკითხების გადაწყვეტაში, რომელიც შეიძლება გაჩნდეს რალიგიურ გაერთიანებებს შორის; და უფლებამოსილ ორგანოებს გასცეს რეკომენდაციები რელიგიურ-საკულტო დანიშნულების ნაგებობის მშენებლობის, მათი ადგილმდებარეობის განსაზღვრის და ასეთი ქონების რელიგიური ორგანიზაიებისთვის გადაცემის თაობაზე.

კანონის მიხედვით, არ შეიძლება საჯარო სკოლების გამოყენება რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნით, მაგრამ კონკორდატი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ანიჭებს მისი რელიგიის სწავლების უფლებას საგანმანათლებლო დაწესებულებებში და სახელმწიფოს აკისრებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო სკოლებისთვის თანხის გადახდას. კანონის მიხედვით, მოსწავლეებს აქვთ უფლება შეისწავლონ რელიგია და შეასრულონ რელიგიური რიტუალები „საკუთარი ნებით“ სასულიერო განათლების შეძენის მიზნით, ოღონდ მხოლოდ სასკოლო საათების დასრულების შემდეგ. კანონი არ განსაზღვრავს განსაკუთრებულ დებულებას კერძო სასულიერო სკოლებისთვის. გარეშე მრჩევლებს, მათ შორის სამღვდელოებას, შეუძლიათ დაესწრონ ან წარმართონ მოსწავლეთა რელიგიური განათლება ან საქმიანობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი ამ საქმისათვის უშუალოდ მოსწავლეების მიერ იქნებიან მოწვეულები. სკოლის ადმინისტრაციას და მასწავლებლებს არ შეუძლიათ ჩაერთონ ამ პროცესში.

მთავრობის პრაქტიკა

არასამთავრობო ორგანიზაციებმა და რელიგიურმა დენომინაციებმა შეშფოთება გამთქვეს იმის გამო, რასაც, მათი განცხადებით, წარმოადგენს რელიგიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მთავრობის მიერ არაქმედითი გამოძიება; რელიგიური გამოხატვისა და რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული შენობების აგებისა ან გადაცემის შემზღუდავი მთავრობის მოქმედება; და მთავრობის მიერ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის უპირატესობის მინიჭება. მათ აგრეთვე დაასახელეს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ბუნდოვანი მანდატი და უფლებამოსილება, თანხებისა და საკუთრების განაწილებისას პროცედურების არარსებობა. მთავრობამ სამართლებრივი დევნა აწარმოა რელიგიური მოტივით ჩადენილ ზოგიერთ დანაშაულზე და დაუბრუნა რელიგიური უმცირესობის ჯგუფებს მათ მიერ მოთხოვნილი გარკვეული ქონება, რომელიც სამთავრობო ორგანოების საკუთრებაში იყო, თუმცა სხვა ქონება არ დაუბრუნებია. არასამთავრობო ორგანიზაციები ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) და ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) აღნიშნავდნენ, რომ მთავრობა არაქმედითად რეაგირებდა რელიგიური შეუმწყნარებლობის ფაქტებსა და საჯარო სკოლებში სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნაზე.

მთავარმა პროკურატურამ გამოიძია სავარაუდოდ რელიგიური შეუმწყნარებლობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულის 20 საქმე, საიდანაც 18 ეხებოდა იეჰოვას მოწმეების, ხოლო ორი - მუსლიმური თემის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას. ამ 20 საქმიდან ხუთი ეხებოდა ფიზიკურ შეურაცხყოფას, ერთი - რელიგიურ მსახურებაში უკანონო ჩარევას, ხუთი - დევნას, შვიდი - საკუთრების დაზიანებას ან განადგურებას, ერთი - ქურდობას და ერთი - ჯანმრთელობის ან საკუთრების დაზიანების მუქარას. მთავარი პროკურატურის მონაცემებით, 20 საქმიდან ხუთი, რომელიც ეხებოდა იეჰოვას მოწმეებს, დასრულდა ბრალდებითა და სასჯელით, სადაც ორ პირს ჯარიმა დაეკისრა, ხოლო სამს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა მიესაჯა; შვიდი საქმე შეწყდა შემდოგომი რეაგირების გარეშე მტკიცებულების არარსებობის მიზეზით; ხოლო რვა საქმეზე წლის ბოლოსთვის გამოძიება არ იყო დასრულებული. მთავრობამ აგრეთვე დაასრულა 2014 წელს დაწყებული სამი გამოძიება, რასაც შედეგად სამი პირისთვის ბრალის წარდგენა და სასჯელის მისჯა მოჰყვა მათ მიერ იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ ჩადენილი ქმედებების გამო. სამი ბრალდებულიდან ორს ჯარიმა დაეკისრა, ხოლო ერთს ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

EMC და TDI მთავრობას აკრიტიკებდნენ, მათი განცხადებით, რელიგიური სიძულვილით მოტივირებული ადრე ჩადენილი დანაშაულის ქმედითად არგამოძიების გამო. სახალხო დამცველის ყოველწლიურ ანგარიშში აღინიშნა, რომ რელიგიურ საფუძველზე ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის არაქმედითი გამოძიება და დაუსჯელობა კვლავ პრობელმად რჩებოდა. ანგარიშში ზოგადად არიან ნახსენები ის „პირები, რომლებიც მონაწილეობდნენ მუსლიმთა უფლებების შელახვის ქმედებებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 2012-2014 წლებში."

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინფორმაციით, მან მიიღო წლის განმავლობაში შემოსული ყველა სარეგისტრაციო განაცხადი, თუმცა რაოდენობა არ დაუკონკრეტებია. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინფორმაციით, წლის ბოლოსთვის სულ 39 რელიგიური ორგანიზაცია იყო რეგისტრირებული სსიპ-ის სტატუსით და „ათეულობით" რელიგიური ორგანიზაცია არაკომერციული ორგანიზაციის სტატუსით.

დეკემბრის თვისთვის რუსთავის მუნიციპალიტეტმა არ მისცა რომის კათოლიკურ ეკლესიას ეკლესიის აშენების ნებართვა; რომის კათოლიკური ეკლესია ორი წლის განმავლობაში ცდილობდა ამ ნებართვის მიღებას. რომის კათოლიკური ეკლესიის განცხადებით, იგი სასამართლოს მიმართავს.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ხელმძღვანელობდა რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელ სარეკომენდაციო კომისიას, რომელიც არასავალდებულო რეკომენდაციებს გასცემდა რელიგიური ორგანიზაციების ქონებრივ საკითხებზე. TDI-ს ინფორმაციით, კომისიამ რეკომენდაცია გასცა რელიგიური ორგანიზაციებისთვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მხოლოდ იმ ქონების გადაცემაზე, რომელიც ორი ან მეტი რელიგიური ჯგუფის დავის საგანს არ წარმოადგენდა. ევრაზიელ ებრაელთა მხარდამჭერი ეროვნული კოალიციის ინფორმაციით, წლის განმავლობაში მთავრობამ ებრაულ თემს საკუთრებაში გადასცა ცხრა სინაგოგა ქვეყანაში არსებული თხუთმეტიდან.

ტოლერანტობის ცენტრის ინფორმაციით, საქართელოს მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, ეკლესიები აწყდებოდნენ მთავრობის წინააღმდეგობას ეკლესიების აგების ნებართვის მოპოვებისას და ცენტრი მთავრობის ჩინოსნების ამ წინააღმდეგობას მიაკუთვნებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისადმი ზოგადად საზოგადოებრივ მიკერძოებას. TDI-ს ინფორმაციით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილობივი მრევლის პროტესტი ძირითად გავლენას ახდენდა მუნიციპალიტეტების გადაწყვეტილებაზე. 19 მარტს, ზესტაფონის საოლქო სასამართლომ დაავალდებულა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხელახლა გაეცა შეჩერებული მშენებლობის

ნებართვა იეჰოვას მოწმეებისთვის სამეფო დარბაზის ასაგებად. EMC-ს ინფორმაციით, მუნიციპალიტეტმა არ აღასრულა სასამართლოს გადაწყვეტილება და გააჭიანურა პროცესი. დეკემბრისთვის, დარბაზის აგება კვლავ მოლოდინის რეჟიმში რჩებოდა.

რომის კათოლიკური ეკლესიის და სომეხთა სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან ქონებრივი დავები არ წყდებოდა გამჭვირვალე სამართლებრივი პროცესით და ძირითადად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უპირატესობით მიმდინარეობდა. სომეხთა სამოციქულო ეკლესია ითხოვდა თბილისში მდებარე ხუთი და ახალციხეში მდებარე ერთი ეკლესიის დაბრუნებას. ყველა მათგანი რეგისტრირებულია სახელმწიფო ქონებად, რომელზეც პრეტენზიას აცხადებენ როგორც სომეხთა სამოციქულო ეკლესია, ასევე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. დავის საგნად რჩებოდა სომეხთა სამოციქულო ეკლესიის მიერ მოთხოვნილი ოცდაათი სხვა ეკლესია და აგრეთვე რომის კათოლიკური ეკლესიის მიერ მოთხოვნილი ხუთი ეკლესია, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გადაეცა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. სომეხთა სამოციქულო ეკლესიამ წუხილი გამოთქვა სადავო ეკლესიების გაუარესებული ფიზიკური მდგომარეობის გამო და აღნიშნა, რომ, სხვა ჯგუფებისგან განსხვავებით, მათი თემისთვის ქონება არ გადაუციათ.

მუსლიმ თემს დავა ჰქონდა ქვემ ქართლში, ადიგენსა და აჭარაში მდებარე მთავრობის საკუთრებაში არსებულ რამდენიმე მეჩეთზე. წლის განმავლობაში, მთავრობამ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს საკუთრებაში გადასცა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განლაგებული 70 მეჩეთი. მუსლიმი თემის ლიდერებმა, ადგილობრივმა და ცენტრალურმა ხელისუფლებამ ვერ შეძლეს ურთიერთმისაღები გადაწყვეტილების მიღება ბათუმის მეჩეთის გადატვირთვის შესამსუბუქებლად, რომელიც სახელმწიფო საკუთრებაშია. თუმცა მთარობამ შეიძინა ადგილობრივი თემისთვის შენობა, რომელშიც სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველომ დასავლეთ საქართველოს მუფთის რეზიდენცია გახსნა და გეგმავდა მედრესეს დამატებას, არასამთავრობო ორგანიზაციები და მუსლიმი თემის დამოუკიდებელი ლიდერები აღნიშნავდნენ, რომ ამ შენობამ ვერ შეძლო განემუხტა გადატვირთულობა ან დაეკმაყოფილებინა თემის მრავალწლიანი მოთხოვნა მეორე მეჩეთის აგების ნებართვაზე.

2014 წლის დეკემბერში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ დაფუძნებული კონსენსუსის საფუძველზე მოქმედი კომისია არ შეკრებილა სადავო საკითხის შესასწავლად, რომელიც ეხებოდა სამცხე-ჯავახეთში სოფელ მოხეში მდებარე საბჭოთა პერიოდში საწყობად და ბიბლიოთეკად გამოყენებული

და შემდგომში მიტოვებული შენობის საკუთრების უფლებას; შენობაზე, როგორც მეოცე საუკუნის მეჩეთზე, საკუთრების უფლებას აცხადებდნენ ადგილობრივი მუსლიმები, ხოლო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი საკუთრების უფლებას ამტკიცებდა წარსულში ამ ადგილზე ეკლესიის არსებობით. ტოლერანტობის ცენტრმა, TDI-მ და EMC-მ კრიტიკა გამოთქვეს კომისიის დახურული სხდომების გამო, რომელსაც რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობდა და რომელშიც მონაწილეობდნენ მართლმადიდებელი ქრისტიანები, მუსლიმები, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს წევრები, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. ტოლერანტობის ცენტრმა აღნიშნა, რომ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ არ დაუჭირა მხარი მუსლიმი თემის თხოვნას, კომისიას რამდენიმე დამკვირვებელი დასწრებოდა, საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის წარმომადგენლის ჩათვლით. ცენტრმა აგრეთვე განაცხადა, რომ სახალხო დამცველმა ვერ შეძლო მონაწილეობის მიღება. TDI-ს მონაცემებით, მუსლიმი თემის წარმომადგენლებმა იგრძნეს, რომ მთავრობა კომისიას „პროცესის გასაჭიანურებლად“ იყენებდა და თვლიდნენ, რომ მათი ინტერესი არ იქნებოდა გათვალისწინებული რაიმე გადაწყვეტილებაში. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს განცხადებით, მართალია, სადავო შენობას მეჩეთის ფორმა ჰქონდა, მას „არასოდეს უმოქმედია მუსლიმთა სალოცავი ადგილის დანიშნულებით.“

მთავრობამ გააგრძელა ეროვნულ კულტურულ მემკვიდრეობად მიჩნეული გარკვეული რელიგიური შენობა-ნაგებობების რესტავრაციის სუბსიდირება. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ წლის განმავლობაში 1 500 000 ლარი (626 000 დოლარი) გამოჰყო კულტურული მემკვიდრეობის ადგილებზე განლაგებული რელიგიური შენობების რესტავრაციისთვის, მაგრამ თანხის ხარჯვის ჩაშლა არ გაუკეთებია. სამინისტრომ დაასახელა მხოლოდ ერთი პროექტი, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას არ ეკუთვნოდა და წარმოადგენდა არქიტექტურულ შესწავლას, რაზეც მან 300 ლარი (125 დოლარი) გასცა.

ტოლერანტობის ცენტრმა, TDI-მ, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოსგან დამოუკიდებელი მუსლიმი თემის წარმოამდგენლებმა და სახალხო დამცველის აპარატმა გამოთქვეს შეშფოთება სკოლებში რელიგიურ დისკრიმინაციასთან დაკავშირებით. მათ აღნიშნეს ისეთი შემთხვევები, როდესაც მასწავლებლები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესისიის თეოლოგიის ხელშეწყობას ახდენდნენ რელიგიის კურსის, საკლასო ლოცვის, ხატებისა და სხვა რელიგიური სიმბოლიკის მეშვეობით სკოლებში, კანონის მიერ პროზელიტიზმის აკრძალვის მიუხედავად. თუმცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

გენერალური ინსპექციის დეპარტამენტი პასუხისმგებელია მასწავლებლების არასათანადო ქცევის შესახებ საჩივრების განხილვაზე, ტოლერანტობის ცენტრის ინფორმაციით, უმცირესობის წარმომადგენელი ოჯახები თავს იკავებდნენ პრობლემების შესახებ შეტყობინებისგან, დეპარტამენტის ქმედითობაში ეჭვისა და მათ შვილებზე ანგარიშსწორების შიშის გამო. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინფორმაციით, წლის განმავლობაში სააგენტოს არ მიუღია შეტყობინება საგანმანათლებლო დაწესებულებაში რელიგიური დისკრიმინაციის შესახებ.

15 ოქტომბერს, ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციამ, საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტურმა ეკლესიამ, ქართველ მუსლიმთა კავშირმა, საქართველოს სახარების რწმენის ეკლესიამ, მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის ტრანსკავკასიურმა იუნონმა, საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესიამ, წიმნდა სამების ეკლესიამ და ქრისტეს ეკლესიამ, რომელთა სამართლებრივ ინტერესებს თავისუფალი უნივერსიტეტის საკონსტიტუციო სამართლის კლინიკა და TDI წარმოადგენდნენ, საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართეს ყველა რელიგიური ორგანიზაციისთვის თანასწორი საგადასახადო სტატუსის მინიჭების მოთხოვნით. დეკემბრისთვის საქმე არ იყო დასრულებული.

საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ სამთავრობო კომპენსაციის სახით 25 მილიონი ლარი (13,4 მილიონ დოლარს) მიიღო. 2014 წლის გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელმაც მთავრობას ნება დართო აუნაზღაუროს სსიპ-ის სტატუსით რეგისტრირებულ ისლამურ, ებრაულ, რომის კათოლიკურ და სომეხთა სამოციქულო რელიგიურ ორგანიზაციებს „მატერიალური და მორალური ზიანი, რომელიც მათ მიადგათ საბჭოთა პერიოდში“, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ, ფინანსთა სამინისტროსთან კოორდინაციით, კომპენსაციის სახით რელიგიურ ჯგუფებზე 3,5 მილიონი ლარის (1,46 მილიონი დოლარი) ოდენობის თანხა გასცა. ტოლერანტობის ცენტრმა, TDI-მ და EMC-მ კითხვის ქეშ დააყენეს მთავრობის მიერ ანაზღაურების მიმღები ოთხი დენომინაციის შერჩევის კრიტერიუმები და კრიტიკა გამოთქვეს სხვა აღმსარებლობების გამორიცხვის გამო. EMC-მ და ორმოცდაათიანელებმა საკონსტიტუციო სასამართოს მიმართეს სარჩელით, სადაც აღნიშნავდნენ, რომ შერჩევის პროცესი დისკრიმინაციული იყო. წლის ბოლოსთვის, სარჩელის განხილვა არ იყო დასრულებული. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინფორმაციით, მთავრობა განიხილავდა სხვა რელიგიური ორგანიზაციებისთვის კომპენსაციის გაცემის საკითხს, თუმცა სააგენტოს არ დაუკონკრეტებია, რომელი ან რამდენი ორგანიზაცია გახდებოდა მიმღები. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინფორმაციით, ეს კომპენსაცია „ნაწილობრივი და სიმბოლური ხასიათის“ იქნებოდა და შერჩევის

პროცესში მთავრობა გაითვალისწინებდა დენომინაციისთვის მიყენებული ზიანის ხარისხსა და „დღეს არსებულ უარყოფით პირობებს.“

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინფორმაციით, მთავრობამ საკომპენსაციო თანხები შემდეგი სახით გასცა: 2 200 000 ლარი (917 000 დოლარი) - მუსლიმ თემს, რომელსაც სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო წარმოადგენდა; 400 000 ლარი (167 000 დოლარი) - რომის კათოლიკურ ეკლესიას; 600 000 ლარი (250 000 დოლარი) - სომეხთა სამოციქულო ეკლესიას; და 300 000 ლარი (125 000 დოლარი) - ებრაულ თემს. TDI-მ და EMC-მ, აგრეთვე მუსლიმური თემის ზოგიერთმა დამოუკიდებელმა ლიდერმა განაცხადეს, რომ მთავრობა პირდაპირ გავლენას ახდენდა სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოზე.

თებერვალში რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ რელიგიური პოლიტიკის სტრატეგიის პროექტი გამოაქვეყნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქვეყანამ თავიდან უნდა აირიდოს მის შიდა პოლიტიკაში გარეშე ჩარევა მეზობელი ქვეყნების მხრიდან ეთნიკური უმცირესობის მოსახლეობაზე გავლენის მოხდენით. EMC-მ, TDI-მ და რელიგიურმა ჯგუფებმა კრიტიკა გამოთქვეს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიმართ გამჭვირვალობის ნაკლებობის გამო და აღნიშნეს, რომ იგი შეიქმნა რელიგიურ თემებზე გავლენისა და კონტროლის მოსაპოვებლად სახელმწიფო უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე. ტოლერანტობის ცენტრმა წუხილი გამოთქვა, რომ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოში ეთნიკური ან რელიგიური უმცირესობის არცერთი წარმომადგენელი არ მსახურობდა თანამშრომლად და რომ სახელმწიფომ სააგენტო შექმნა რელიგიური ორგანიზაციების ფართო სპექტრთან, სახალხო დამცველთან ან რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციის გარეშე.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამოთქვეს შეშფოთება, რომ მთავრობის სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2015-2020 წწ. ეროვნულ კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაში არ მოხვდა რელიგიური უმცირესობები და რელიგიის თავისუფლება ცალკე თემებად.

ნოემბრის ანგარიშში, ნორვეგიის ადამიანის უფლებათა ცენტრმა (NCHR), (კვლევითი ინსტიტუტი) გამოთქვა შეშფოთება, რომ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო თავის მთავარ მისიად ხედავდა „არა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ხელშეწყობას, საქართველოს ყველა მოქალაქის სახელით, არამედ განსაკუთრებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ფინანსური და მატერიალური ინტერესების ხელშეწყობას.“ NCHR-მა გამოხატა შეშფოთება მთელ რიგ სხვა საკითხებზეც, მათ შორის: რელიგიის საკითხთა

სახელმწიფო სააგენტოს ბუნდოვანი მანდატი და უფლებამოსილება; რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ ზოგიერთი რელიგიის „არატრადიციულად“ ჩათვლა და ზოგიერთის სხვებზე მეტად გამორჩევა; და რელიგიური ჯგუფებისთვის თანხებისა და ქონების გადაცემის პროცედურების ნაკლებობა.

საპატიმროების უმრავლესობაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამლოცველოებია, მაგრამ არ არის ყველა დენომინაციაზე გათვლილი საერთო ლოცვის ადგილი. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინფორმაციით, რომის კათოლიკური, ბაპტისტური, სომეხთა სამოციქულო ეკლესიის, მუსლიმური და ებრაული რელიგიური მსახურება მოთხოვნის შემთხვევაში ხელმისაწვდომი იყო სამხედრო ნაწილებსა და საპატიმროებში.

18 ივნისს, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც რამადანის დაწყებას აღნიშნავდა. 2 სექტემბერს, პრემიერ-მინისტრმა ონში სინაგოგის 120 წლისთავი აღნიშნა. 24 სექტემბერს, იგი ესტუმრა თბილისის მეჩეთს, სადაც მუსლიმ თემს მიულოცა ყურბან ბაირამის დღესასწაული (ეიდ ალ-ადჰა).

შევიწროვება საგარეო ძალების და არასახელმწიფო აქტორების მიერ

აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი კვლავ ცენტრალური მთავრობის კონტროლის მიღმა რჩებოდა და სანდო ინფორმაცია ამ რეგიონებიდან ძირითადად მიუწვდომელია.

სამხრეთ ოსეთში, იეჰოვას მოწმეები არ იყვნენ ოფიციალურარ აღიარებული. იეჰოვას მოწმეები აფხაზეთში კვლავ ოფიციალურად აკრძალული ორგანიზაციაა.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიღმა მცხოვრები პირები კვლავ სირთულეებს აწყდებოდნენ ადმინისტრაციულ საზღვარზე გადასვლისას, მათ შორის ამ ტერიტორიებზე მდებარე ოჯახის წევრების საფლავების მოსანახულებლად გადასვლისას, განსაკუთრებით სამხრეთ ოსეთში. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინფორმაციით, მართალია, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის მიტროპოლიტი ისაია განაგრძობდა მოღვაწეობას სამხრეთ ოსეთში, იგი ვერ ტოვებდა ეპარქიას იმის შიშით, რომ უკან ვეღარ დაბრუნდებოდა რელიგიური მოვალეობის შესასრულებლად.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინფორმაციით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ძეგლები სამაჩაბლოში და თირის მონასტრის ფრესკები, ორივე სამხრეთ ოსეთში, შელესვის საფრთხის წინაშე იდგნენ.

III ნაწილი. საზოგადოების მიერ რელიგიის თავისუფლების პატივისცემა

იეჰოვას მოწმეების ინფორმაციით, მათი რელიგიური მსახურება კვლავ განიცდიდა ხელშეშლას, მათ შორის ფიზიკური თავდასხმებისა და შევიწროვების ფორმით. რელიგიური უმცირესობების ჯგუფების ინფორმაციით, ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ რელიგიური უმცირესობების ჯგუფები საფრთხეს წარმოადგენენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქვეყნის კულტურული ღირებულებებისთვის. არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ზოგიერთ სასულიერო პირს წვლილი შეჰქონდა საზოგადოების მტრულ დამოკიდებულებაში რელიგიური უმცირესობის თემების მიმართ.

იეჰოვას მოწმეების წარმომადგენლების ინფორმაციით მათი თემის წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა რელიგიური დისკრიმინაციის 51 შემთხვევას - რაც ნაკლებია, ვიდრე 65 შემთხვევა, რომელიც თემმა სახალხო დამცველთან გასულ წელს გაასაჩივრა. ეს 51 შემთხვევა მოიცავდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, რელიგიურ მსახურებაში ხელშეშლას, ქონების დაზიანებასა და ვანდალიზმს, მოწმეთა საჯარო გამოსვლისთვის განკუთვნილი ტრიბუნის ჩამოგდების მცდელობასა და ჯგუფის მიერ ლიტერატურის გავრცელების ხელშეშლის მცდელობასს. 23 ნოემბერს, იეჰოვას მოწმეების თბილისის შემოგარენში, ვაზისუბანში მდებარე სამეფო დარბაზის წარმომადგენლების ინფორმაციით, სულ მცირე 15 ტყვია იქნა ნასროლი მათი შენობის მიმართულებით. იეჰოვას მოწმეების თემის ინფორმაციით, 30 ნოემბერს, უცნობმა პირმა კვლავ გაუხსნა ცეცხლი სამეფო დარბაზს. ამ ინციდენტების შედეგად არავინ დაშავებულა. წლის ბოლოსთვის, ქონების დაზიანებასთან დაკავშირებით გამოძიება კვლავ მიმდინარეობდა.

რელიგიური უმცირესობის თემების, მათ შორის მუსლიმების, იეჰოვას მოწმეების, კათოლიკეებისა და პროტესტანტების განცხადებით, მათ წინააღმდეგობა ხვდებოდათ ღვთისმსახურების ადგილებისა და სასულიერო სკოლების დაფუძნებისას.

აპრილში, იეჰოვას მოწმეების ინფორმაციით, მათ მიიღეს თერჯოლის მცხოვრებთა მუქარის შემცველი წერილი, რომელშიც აფრთხილებდნენ მასიური პროტესტის შესახებ, თუ თემი არ შეწყვეტდა სამეფო დარბაზის მშენებლობას, და აღნიშნავდნენ, რომ ამაზე ჯგუფი „იქნებოდა პასუხისმგებელი.“ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილობრივმა წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ვიღაც ცდილობდა პროვოკაციის მოწყობას და საქმის ისე წარმოჩენას, თითქოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დევნიდა იეჰოვას მოწმეებს.

მოსწავლეებმა ვერ შეძლეს შესვლა ქობულეთში დაგეგმილ სკოლა-პანსიონატში, სადაც 2014 წლის სექტემბერში ადგილობრივებმა ღორის თავი მიაჭედეს შენობის შესავლელში და შენობის სიახლოვეს ჯვარი აღმართეს. EMC-ს ინფორმაციით, ადგილობრივმა მოსახლეობამ დააშინა მუსლიმი თემი და ხელისუფლებამ არ სცადა თემის გადაადგილებისა და განათლების უფლებების დაცვა გამოძიების დროს. მედიის ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შსს) გაავრცელა განცხადება, რომ მუსლიმ თემს შეეძლო შენობით სარგებლობა ხელშეშლის გარეშე; თუმცა, ადგილობრივი მუსლიმების ინფორმაციით, დაშინება გაგრძელდა, რადგან სკოლის წინააღმდეგ განწყობილმა ადგილობრივებმა აღმართეს ჯვარი და ჩახერგეს შენობისკენ მისასვლელი ეზო. EMC-მ, მუსლიმი თემის სახელით, საჩივარით მიმართა ბათუმის სასამართლოს, რომელშიც შსს-ს წარმომადგენლებისა და ადგილობრივი მოსახლეობის სავარაუდო დისკრიმინაციაზე აცხადებდა. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინფორმაციით, შენობისთვის თავდაპირველად გაიცა სასტუმროს ნებართვა და იგი მხოლოდ შემდეგ გადაკეთდა რელიგიურ სკოლად „შესაბამისი“ ადგილობრივი ხელისფულების ორგანოებთან კონსულტაციის გარეშე. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინფორმაციით, ქობულეთში უკვე არსებობდა სკოლა მუსლიმებისთვის და მიმდებარე ტერიტორია მჭიდროდ დასახლებულია მართლმადიდებელი ქრისტიანებით. საქმე განხილვაში რჩებოდა წლის ბოლოსთვის.

2015 წლის მონიტორინგის ანგარიშში, რომელიც მოიცავდა პერიოდს 2014 წლის თებერვლიდან 2015 წლის თებერვლამდე, არასამთავრობო ორგანიზაცია მედიის განვითარების ფონდმა აღრიცხა რელიგიის საფუძველზე დისკრიმინაციული განცხადების სულ მცირე 77 შემთხვევა, მათ შორის 26 განცხადება იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ გაკეთდა, 37 განცხადება იყო „ისლამოფობიური“ ან „თურქოფობიური“, რომელიც ახალი მეჩეთების მშენებლობის კონტექსტში გაკეთდა, შვიდი მიმართული იყო სომეხთა სამოციქულო ეკლესიის წინააღმდეგ სადავო ეკლესიების დაბრუნების მოთხოვნის კონტექსტში, ხოლო შვიდი - საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის წინააღმდეგ. ბასილ მკალავიშვილმა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიიდან განკვეთილმა მღვდელმა, მედიით გააკეთა რამდენიმე განცხადება, სადაც იეჰოვას მოწმეებს ძალადობრივ და სატანისტურ სექტას უწოდებდა. მედიის განვითარების ფონდის ანგარიშში მოყვანილია დისკრიმინაციული ენის კიდევ რამდენიმე ასეული შემთხვევა, რომელიც სავარაუდოდ რელიგიურად მოტივირებული იყო.

16 ოქტომბერს, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც აღნიშნა, რომ TDI-ს მიერ წარმოდგენილი რვა რელიგიური ორგანიზაცია ყველა რელიგიური ჯგუფისთვის თანაბარი საგადასახადო

პირობების მოთხოვნის შემცველი სარჩელით ცდილობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგადასახადო შეღავათები გაეუქმებინა. TDI-მ პასუხი 20 ოქტომბერს გასცა და განაცხადა, რომ სარჩელი კონკორდატს კითხვის ქვეშ არ აყენებდა.

ივნისში იეზიდმა ქურთებმა აღნიშნეს მათი პირველი ტაძრისა და კულტურული ცენტრის გახსნა თბილისში მთავრობის მიერ 2009 წელს გადაცემულ მიწის ნაკვეთზე. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა მიულოცა იეზიდი ქურთების თემს და ხაზი გაუსვა თემის წვლილს საზოგადოებაში, ცენტრის მნიშვნელობას იეზიდი ქურთებისთვის, რომელიც დაეხმარება მათ შეინარჩუნონ „საკუთარი ძველი რელიგია, ლამაზი ენა და კულტურა.“

ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებულმა საქველმოქმედო ორგანიზაციამ ქართუ ფონდმა ონში აღადგინა 120 წლის სინაგოგა.

ოქტომბერში მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა პროტესტის აქცია მოაწყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შენობის გარეთ და მოითხოვა მინისტრის გადადგომა სკოლებში ჰელოუინის დღესასწაულის აღნიშვნის დაშვების გამო. პროტესტის გამომხატველები აცხადებდნენ, რომ ჰელოუინი წარმოადგენს ეშმაკის თაყვანისცემასა და სატანიზმს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გააკეთა განცხადება, სადაც აღნიშნა, რომ ვერ უკარნახებს ადამიანებს, იზეიმონ თუ არა ჰელოუინი. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ დისტანცირება მოახდინა პროტესტის გამომხატველებისგან და განაცხადა, რომ საპატრიარქო არ იზიარებდა მათ ხედვებს. ჯგუფმა აგრეთვე პროტესტი გამოხატა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალი არჩევითი სასკოლო საგნის „მე და საზოგადოება“ დამატების გადაწყვეტილების გამო, რაც, სამინისტროს განმარტებით, მიმართული იყო მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის, ტოლერანტობისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისკენ.

IV ნაწილი. აშშ-ის მთავრობის პოლიტიკა

აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლები მჭიდრო კონტაქტს ინარჩუნებდნენ მთავრობის წარმომადგენლებთან, მათ შორის რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელებთან, პრემიერ-მინისტრის მრჩეველთან ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში და პრეზიდენტის მრჩევლთან ეროვნული უმცირესობების საკითხებში. ამ შეხვედრების დროს აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლები განიხილავდნენ ეთნიკურ

და რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებს და უზიარებდნენ ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილებას. საელჩოს წარმომადგენლები აგრეთვე ხვდებოდნენ სახალხო დამცველის აპარატისა და ტოლერანტობის ცენტრის წარმომადგენლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც რელიგიის თავისუფლების საკითხებზე მუშაობენ, მათ შორის კავშირს „21-ე საუკუნე“, EMC-ს და TDI-ს. საელჩოს ოფიციალურ პირებს კონტაქტი ჰქონდათ სხვადასხვა თემის რელიგიურ ლიდერთან რელიგიის თავისუფლების მდგომარეობის მონიტორინგის მიზნით. ამ შეხვედრების დროს, ელჩი და საელჩოს ოფიციალური წარმომადგენლები მთავრობასა და რელიგიური უმცირესობების ჯგუფების დიალოგს უწყობდნენ ხელს, რომელიც საზოგადოებრივ შემწყნარებლობასა და ინტეგრაციას გაუსვამდა ხაზს.

23 თებერვალს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის განვითარების სტრატეგიის პრეზენტაციაზე გამოსვლისას, ელჩმა ხაზი გაუსვა რელიგიური უმცირესობის თემებთან მთავრობის დიალოგის მნიშვნელობას და მოქმედებას მათთვის მნიშვნელოვან თემებზე საპასუხოდ, საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

მარტში საელჩოს ოფიციალური პირები ეწვიენ ქობულეთში დაგეგმილ სკოლა-პანსიონატს სკოლის ადმინისტრაციისა და ადგილობრივი მუსლიმი თემისადმი მხარდაჭერის გამოსახატად.

აპრილში საელჩომ ორგანიზება გაუკეთა რელიგიათაშორისი და აღმსარებლობის საკითხებში ექსპერტის სტუმრობას ამერიკიდან. ტელევიზიით, რადიოსა და ბეჭდვითი მედიით გამოსვლისას, უნივერსიტეტის სტუდენტებთან ლექციის ჩატარებისას, ახალგაზრდა მუსლიმებთან საუბრისას და სომეხთა სამოციქულო ეკლესიისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებთან შეხვედრების დროს სტუმარი ყურადღებას ამახვილებდა რელიგიათაშორის დიალოგსა და შემწყნარებლობაზე.

18-19 აპრილს, ელჩი და საელჩოს წარმომადგენლები, სტუმრად მყოფ აღმსარებლობის საკითხებში ექსპერტთან ერთად დაესწრენ საქართველოს მუსლიმთა კავშირის მიერ ორგანიზებულ ბათუმის საერთაშორისო ფორუმს - რელიგია და მშვიდობა, რელიგიათაშორის დიალოგისა და რელიგიური შემწყნარებლობის მხარდასაჭერად, რელიგიურ ლიდერებთან მთავრობის ჩართულობის მნიშვნელობის ხაზგასასმელად. დამსწრეებს შორის იყვნენ საერთაშორისო ლიდერები, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე და სხვადასხვა აღმსარებლობის წარმომადგენლები, მათ შორის

მუსლიმი თემის, სომეხთა სამოციქულო ეკლესიისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები. კონფერენციაზე ელჩმა და ამერიკელმა ექსპერტმა ისაუბრეს რელიგიათშორის ურთიერთგაგების, დიალოგის, პატივისცემისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების ხელშეწყობის აუცილებლობაზე. კონფერენციის დასასრულს, მონაწილეებმა ხელი მოაწერეს კომუნიკეს, რომელშიც დაადასტურეს ყველა ადამიანის ღირსების მნიშვნელობა და მოითხოვეს, რომ მორწმუნეების რელიგიურ გრძნობებს სცეს ყველამ პატივი და ყველას რელიგიური უფლებები იყოს დაცული.

მაისში საელჩომ მოაწყო რელიგიის საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ხუთი წარმომადგენლის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში რელიგიის თავისუფლებისა და აღმსარებლობის საკითხების პროგრამით. ივნისში საელჩომ ორგანიზება გაუკეთა ქართველი მუსლიმი ჟურნალისტის ამერიკის შეერთებულ შტატებში კიდევ ერთ ვიზიტს ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციაში ქალთა როლის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც მოიცავდა დისკუსიას ტერორიზმისა და რადიკალიზმის აღკვეთაში რელიგიის ძალისხმევაზე.

9 ნოემბერს, მისიის ხელმძღვანელის მოადგილე სიტყვით გამოვიდა სახალხო დამცველის ოფისის მიერ მოწყობილ ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე. თავის გამოსვლაში მან მაღალი შეფასება მისცა ტოლერანტობის ცენტრის და სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევას, რომელიც მიმართულია რელიგიებს და ეროვნებებს შორის ურთიერთგაგების გაღრმავებაზე, პატივისცემასა და მშვიდობიან თანაცხოვრებაზე. 12 ნოემბერს ელჩმა აღნიშნა ეს დღე TDI-სა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ მოწყობილ ფოტოგამოფენასა და მიღებაზე დასწრებით. ღონისძიებაზე თავის სიტყვაში ელჩმა ხაზი გაუსვა, რომ ტოლერანტობას, რელიგიური შემწყნარებლობის ჩათვლით, ჩვენი მიზნის ცენტრალური ადგილი უკავია, რომელიც ესწრაფის სოლიდარობის საყოველთაო ღირებულებებზე, სოციალურ სამართლიანობასა და ადამიანის უფლებების პატივისცემაზე დაფუძნებული გლობალური საზოგადოების შექმნისკენ.